

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი



ვამტკიცებ: -----
სსსსუ-ს რექტორი
სრული პროფესორი
გელა ჯავახიშვილი

დოქტორანტურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

(სამუშაო ვერსია)

განხილულია:

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს მიერ
ოქმი №12, 29 ივნისი 2007 წ.

შეთანხმებულია:

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო
სამეურნეო უნივერსიტეტის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახური

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო
სამეურნეო უნივერსიტეტის
სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

I. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების და უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების წესს;
2. დოქტორანტურა არის უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხურის მეოთხე დონე და წარმოადგენს სასწავლო პროგრამების და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს აკადემიური და სამეცნიერო კადრების მომზადებას;
3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება პარტნიორი უნივერსიტეტებს შორის რეგულირდება უნივერსიტეტებს დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

II. დოქტორანტურაში მიღება

1. დოქტორანტურაში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას და სწავლების წლიურ გადასახადს ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო;
2. დოქტორანტურაში მიღება ხდება საგამოცდო კონკურსის წესით. დოქტორანტურაში მიმღები საგამოცდო კომისიის შემადგენლობასა და ჩასაბარებელი საგნების ნუსხას ადგენს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს აკადემიური საბჭო;
3. დოქტორანტურაში ჩაბარების უფლება აქვს მაგისტრს, ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხის მქონე პირს.

III. დოქტორანტურაში წარსადგენი საბუთების ნუსხა

კონკურსში მონაწილეობისათვის საჭიროა შემდეგი საბუთების წარდგენა:

1. განცხადება რექტორის სახელზე ფაკულტეტის და სპეციალობის მითითებით;
2. CV;
3. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
4. ოთხი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3X4 სმ;
5. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი (დედანი);

IV. დოქტორანტურის კომპონენტები

დოქტორანტურა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. სწავლებას - ხანგრძლივობით 3 წელი. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა შედგება საუნივერსიტეტო და სპეციალობის საგნებისაგან, რომელთა თემატიკას ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო ისე რომ თითოეულ საგანს განესაზღვრება 5 კრედიტი:
 - თეორიული სწავლება ხორციელდება I და II სემესტრში;
 - საუნივერსიტეტო საგნებში შეიძლება შეტანილი იქნას თემატიკა: ფსოქოლოგიიდან, ლოგიკიდან, ინფორმაციული ტექნოლოგიებიდან და სხვა;
 - სპეციალობის საგნების დასახელებას და თემატიკას 2 საგნის ფარგლებში თემის სპეციფიკიდან გამომდინარე ადგენს შესაბამისი დეპარტამენტი თემის ხელმძღვანელთან შეთანხმებით და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო;

- პირველ სემესტრში დოქტორანტი სწავლობს 3 საუნივერსიტეტო საგანს და დადებითი შეფასებით ჩაბარების შემთხვევაში იღებს 15 კრედიტს, სადისერტაციო თემაზე მუშაობისათვის 15 კრედიტს;
 - მეორე სემესტრში დოქტორანტი სწავლობს სპეციალობის საგნებს დადადებითი შეფასებით ჩაბარების შემთხვევაში იღებს 15 კრედიტს, სადისერტაციო თემაზე მუშაობისათვის - 15 კრედიტს;
 - დოქტორანტის ცოდნას, აგრეთვე სემინარს აფასებს კომისია 3 კაცის შემადგენლობით, კომისიის თავმჯდომარე, როგორც წესი უნდა იყოს სრული პროფესორი (გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია ასოცირებული პროფესორი), წევრი შეიძლება იყოს, როგორც სრული, ისე ასოცირებულ პროფესორი, რაზეც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ფორმდება რექტორის ინდივიდუალური აქტი.
2. სემინარს სპეციალობაში, რომლის თემატიკას ადგენს შესაბამისი დეპარტამენტი სადისერტაციო თემის ხელმძღვანელთან შეთანხმებით და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. დოქტორანტი თემის და დეპარტამენტის ხელმძღვანელთან შეთანხმებით მისთვის სასურველ პერიოდში (III, IV ან V სემესტრში) აწყობს სემინარის პრეზენტაციას. სემინარის პრეზენტაციის დადებითი შეფასების შემთხვევაში იღებს 30 კრედიტს.
3. სადისერტაციო ნაშრომს რომლის შესრულება და დაცვისთვის მომზადება განისაზღვრება 120 კრედიტით (120 კრედიტში შედის I კურსის 30 კრედიტიც).

V. დოქტორანტის პედაგოგიური საქმიანობა

1. პედაგოგიური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის დოქტორანტი ვალდებულია, სწავლების მეორე და მესამე წელს, ჩაატაროს:
- ლაბორატორიული ან პრაქტიკულ-სემინარული მეცადინეობა კვირაში 2 საათი;
 - ლექცია საკუთარი არჩევანის მიხედვით სემესტრში ერთხელ (განცხადება ლექციის ჩატარების შესახებ ერთი კვირით ადრე უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილზე).

VI. შეფასება

1. დოქტორანტურაში შეფასებისთვის გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:

დადებითი შეფასება:

- ა) 91-100 ქულა ფრიადი - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) 81-90 ქულა - ძალიან კარგი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველ მხრივ აღემატება;
- გ) 71-80 ქულა - კარგი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) 61-70 ქულა - დამაკმაყოფილებელი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) 51-60 ქულა - საკმარისი - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; უარყოფითი შეფასება:
- ვ) 41-50 ქულა - არადამაკმაყოფილებელი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზის გამო ვერ აკმაყოფილებს.
- ზ) 0-40 ქულა - ცუდი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს საერთოდ არ აკმაყოფილებს.

VII. დოქტორანტურა პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით

1. სადოქტორო პროგრამის განხორციელება პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობით წესრიგდება ამ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით თანამშრომლობისა და ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ.
2. პარტნიორი დაწესებულებების მონაწილეობის შემთხვევაში დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს დოქტორანტურაში მიღების პირობებს, განსაზღვრულს ხელშეკრულებით ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ;
3. განცხადებას ამ დებულებით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად უნდა დაერთოს პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლის თანხმობა თემის თანახემდღვანელობაზე.
4. პარტნიორი ორგანიზაციის მონაწილეობის შემთხვევაში დისერტაციას ერთობლივად უნდა უხელმძღვანელონ საქართველოს სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტისა და პარტნიორი ორგანიზაციის პროფესორებმა. დაცვას უნდა ესწრებოდეს ერთი ხელმძღვანელი მაინც.
5. პარტნიორი ორგანიზაციის პროფესორი, რომელიც თემის ხელმძღვანელობაზე თანხმობას განაცხადებს, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს თავის შეფასებას.

VIII. . დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ფინანსდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წყაროდან;

IX. მოთხოვნები დოქტორანტისადმი

დოქტორანტს მოეთხოვება:

- ა) შესასწავლი დარგობრივი სფეროს, მეთოდოლოგიისა და დარგობრივი ეტიკის ცოდნა.

დოქტორანტს უნდა გააჩნდეს ფართო, ღმა და სისტემური ცოდნა, რომელიც დარგობრივ სფეროში საერთაშორისო პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას იძლევა. შეეძლოს ეთიკური დილემების ანალიზი, მართვა და მათი გადაჭრა. სრულად ფლობდეს დარგისათვის სპეციფიკურ (თეორიულ და კვლევით) მეთოდებს.

- ბ) დარგობრივი სფეროს შესახებ არსებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

დოქტორანტი პროფესიულ დონეზე უნდა ფლობდეს კვლევის ყველაზე ძირითად მეთოდს, ასევე შეეძლოს შეიმუშაოს ახლებური და ანალიტიკური მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული.

- გ) ანალიზისა და სინთეზის უნარი.

კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეეძლოს რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი. შეეძლოს ახალი მიდგომების სინთეზი რითიც დარგობრივ სფეროში ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარებას უწყობს ხელს.

- დ) პრობლემის გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების უნარი.

დამოუკიდებლად შეეძლოს პროფესიული და კომპლექსური პრობლემების განსაზღვრა. ჰქონდეს უნარი პრობლემის გადაჭრისათვის დამოუკიდებლად მიიღოს

სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი რესურსები.

ე) დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი.

შეედლოს დამოუკიდებლად დაგეგმოს და უხელმძღვანელოს ჯგუფის მუშაობას.

ვ) კომუნიკაციის უნარი მშობლიურ ენაზე და უცხო ენის ცოდნა.

შეედლოს რთული და სადავო ინფორმაციის მკაფიო და ეფექტური გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის ამ უკანასკნელთა მომზადების/მოუმზადებლობის გათვალისწინებით

C1 დონე- პროფესიონალი მცოდნე (დარგობლივ სფეროში).

კომუნიკაცია შეედლოს რთული, ვრცელი ტექსტების გაგება და მათში არაპირდაპირ გადმოცემული ინფორმაციის ამოცნობა. შეედლოს დაუბრკოლებრივ საუბარი ისე, რომ საჭირო სიტყვებისა და ფრაზების მოძიებას დრო არ დაუთმოს. თავისუფლად იყენებდეს ენას სოციალურ და პროფესიულ თემებზე სასაუბროდ.

კითხვა შეედლოს ვრცელი, კომპლექსური ტექსტების გაგება ყველა დეტალის ჩათვლით, იმის მიუხედავად, ეხება ის მის პროფესიულ თუ სხვა თემას. შესაძლოა დასჭირდეს განსაკუთრებით რთული ადგილების გადაკითხვა.

წერა – შეედლოს მკაფიოდ სტრუქტურირებული ტექსტის დაწერა კომპლექსურ თემებზე თხზულების, წერილის ან ანგარიშის ფორმატში; მთავარი საკითხების გამოყოფა და შესაბამისი სტილის შერჩევა.

ზ) საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.

დოქტორანტი უნდა იცნობდეს და თავისუფლად იყენებდეს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), ფლობდეს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში.

თ) ჯგუფში მუშაობის უნარი

უნდა შეედლოს ჯგუფის ეფექტური ხელმძღვანელობა, ამოცანების მკაფიო ფორმულირება და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური გამოყენება. შეედლოს კომფლიქტური სიტუაციების მოგვარება.

ი) სწავლის უნარები

ადეკვატურად აფასებდეს, გეგმავდეს და ახორციელებდეს საკუთარი სწავლის პროცესს და იყენებდეს სასწავლო რესურსების სრულ სპექტრს; შეედლოს სხვების სწავლის პროცესის დაგეგმვა და მართვა.

კ) კვლევის უნარი – დოქტორანტი დამოუკიდებლად უნდა გეგმავდეს, ახორციელებდეს და ზედამხედველობდეს ინოვაციურ კვლევას, იყენებდეს და თავად შეიმუშავე

X. აკადემიური დოქტორის დასაქმების სფერო

აკადემიური დოქტორის დასაქმების სფეროა სასოფლო-სამეურნეო დარგის უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიური საქმიანობა, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებში, შესაბამისი დარგის სამინისტროებში და მასში შემავალი სტრუქტურებში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში და საწარმოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე საქმიანობა, რომლებსაც სჭირდებათ სამეცნიერო სასწავლო - კვლევითი პროფესიული გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები აგრარულ სფეროში.

საქართველოს კანონით საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის შესაბამისად ორგანიზაციებში მათთვის განსაზღვრულია თანამდებობრივი დასაქმების სფეროები.



საქართველოს სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტი

კრებსითი უწყისი №

გამოცდების ჩაბარების შესახებ

გაცემულია ----- მასზე, რომ მან ჩააბარა
(სახელი, გვარი)
გამოცდები შემდეგ საგნებში:

№	საგნის, სემინარის დასახელება შეფასება და ჩაბარების თარიღი	საგნის, სემინარის კრედიტი	შეფასება ქულა	საგამოცდო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების სახელი და გვარი, სამეცნიერო (აკადემიური) ხარისხი
1	2	3	4	5

კრებსითი უწყისი გაცემულია უწყისების საფუძველზე, რომელიც ინახება ----- ფაკულტეტზე

ფაკულტეტის დეკანი

(აკად. თან. სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

ბ. ა.

მდივანი
----- 200 წ
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)